გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ მომსახურებას ინსპექტირებას უწევს სკოლის სამეურვეო საბჭო.

10.2 არაჯეროვნად გაწეულ მომსახურებას ინსპექტირების ჯგუფი აფიქსირებს ოქმით. აღნიშნულის გამოსწორება ხდება „მომწოდებელი"-ს მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

11.2. „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, რომელიც უნდა აცნობოს „მიმწოდებელს" 5 დღით ადრე.

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს.

11.4. „მიმწოდებელი" ხელშეკრულების შეწყვეტისას არ თავისუფლდება 11.1 პუნქტში დაფიქსირებული პირგასამტეხლოსაგან თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია 11.2 პუნქტში დაფიქსირებული შემთხვევის დროს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ მარტყოფის №1 სკოლა	შ.პ.ს. „აუდიტ გ.მ."
მის. სოფ. მარტყოფი	მის: გარდაბანის რაიონი სოფ. ნორიო
საიდენტიფიკაციო კოდი: № ----------	საიდენტიფიკაციო კოდი № 226528941
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს	ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს
გარდაბნის ფილიალი ბ.კ. № 220101401	გარდაბნის ფილიალი ბ.კ. № 220101401
ანგ. ანგარიში: ----------	ანგ. ანგარიში: № GE08LB0113191359287000
სსიპ მარტყოფის №1 სკოლის დირექტორი:	შ.პ.ს. „აუდიტ გ.მ."-ს დირექტორი:
ქ. ჩინაშვილი	გელა მამუკა შეილი